ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №7

16.01.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ეკა ცეცხლაძე** - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების დებულებების და საშტატო ნუსხების პროექტების თაობაზე („ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ) (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 12 იანვრის №12-0318012172-03 წერილი) - ოქმს ერთვის

   /მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის №12-03173149-03 წერილის მე-2 წინადადება) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 29 დეკემბრის №12-03173634-03 წერილი) -ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური/

4. მიმდინარე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2015 წლის 15 იანვრის №12-031801522-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების დებულებების და საშტატო ნუსხების პროექტების თაობაზე („ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ) (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 12 იანვრის №12-0318012172-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა.

მომხსენებლის (გ. გიგაშვილის) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად ყალიბდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური და სამსახურის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებით: სატყეო პოლიტიკის განყოფილება, ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილება, გარემოსდაცვითი მართვის განყოფილება და მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილება. გარემოს დაცვის სამსახურის ძირითად ფუნქციებად განისაზღვრება: თბილისის გარემოს დაცვის, მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარების, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო და სარეკრეაციო ზონების დაგეგმარების, მუნიციპალური მნიშვნელობის ტყის მართვის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება.

მომხსენებელმა, ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ყურადღება გაამახვილა სამსახურის ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფების (განყოფილებების) და მათი ფუნქციების მნიშვნელობაზე. კერძოდ, საქალაქო სამსახურის ახალი დებულების მიღების შემთხვევაში, შეიქმნება სამსახურის შემდეგი განყოფილებები:

1. სარტყეო პოლიტიკის განყოფილება, შემდეგი ძირითადი ფუნქციებით: ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მართვის სფეროში მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მართვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია; ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის ფიტოსანიტარული კვლევა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ინვენტარიზაცია და სხვ.

ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №1070 განკარგულების („დედაქალაქის საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელმწიფო ტყის ფონდიდან კუთვნილი ფართობების (8106.9 ჰა) სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვის შესახებ“) საფუძველზე, 2010 წელს დედაქალაქის დაქვემდებარებაში გადმოვიდა 8106.9 ჰექტარზე განთავსებული ტყის მასივი, თუმცა, რამდენად და რა ხარისხით არის შენარჩუნებული აღნიშნული ტყის მასივი, უცნობია, რადგან დედაქალაქში 1988 წლის შემდეგ არ ჩატარებულა მწვანე ნარგავების ინვენტარიზაცია, რაც, ასევე, ახალი დებულების ამოქმედების შემდეგ, საქალაქო სამსახურის მთავარი ამოცანა იქნება.

2. ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილება, შემდეგი ძირითადი ფუნქციებით: თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მათ შორის, კერძო საკუთრებაში, სპეციალური და მოვლითი ჭრის, ასევე, მშენებლობის მიზნით ჭრის/გადარგვის ნებართვის გაცემა; ჭრის, გადარგვის ან საკომპენსაციო რგვის განხორციელების მონიტორინგი (რომელსაც ერთობლივად განახორციელებენ გარემოს დაცვისა და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურები); გადარგვის ან საკომპენსაციო რგვის

შედეგად დაინტერესებული მხარისთვის წარმოშობილი ვალდებულებების მონიტორინგი; თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მათ შორის, კერძო საკუთრებაში ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების განსაზღვრა; თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების, ასევე, მშენებლობის ნებართვის შეთანხმების ეტაპზე გამწვანების კოეფიციენტით (კ-3) გათვალისწინებული ტერიტორიის რეკრეაციული პროექტის შეთანხმება, რაც ხელს შეუწყობს ურბანული დაგეგმვისა და განაშენიანებისას გამწვანებული და სარეკრეაციო არეალების დაგეგმვა-მოწყობას; ზედაპირული წყლის ობიექტების მონიტორინგში მონაწილეობის მიღება და სხვ.

3. გარემოსდაცვითი მართვის განყოფილება, რომელიც ასევე ახალი სტრუქტურული ერთეულია და აღნიშნული განყოფილება აღიჭურვება იმ ფუნქციებით, რომელიც საქალაქო სამსახურმა უნდა განახორციელოს გარემოსდაცვითი მიმართულებით, კერძოდ, თბილისის ტერიტორიაზე გარემოს დაცვისა და ურბანული ეკოსისტემების მართვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება; თბილისის ტერიტორიაზე ენერგოეფექტურობისა და რესურსაღდგენის სფეროში მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა; მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა და განხორციელების კოორდინაცია; თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვაში მონაწილეობა და გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა; ნარჩენების გადამუშავების შედეგად ენერგიისა და პროდუქციის მიღების ხელშეწყობისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; ინერტული ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა და განხორციელების კოორდინაცია; თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში გარემოს დაბინძურების წერტილოვანი წყაროების ინვენტარიზაციაში და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება; კლიმატის ცვლილებისა და ენერგოეფექტურობის სფეროში მუნიციპალური პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა და სხვ.

4. მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილება, შემდეგი ძირითადი ფუნქციებით: ჰაერის დაბინძურების, ემისიების წყაროების, გეოლოგიის, ჰიდროლოგიის საინფორმაციო ბაზების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; ქალაქმშენებლობით სფეროში საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების კვლევა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა; თბილისის მიწათსარგებლობის გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა; მშენებლობის ნებართვის შეთანხების ეტაპზე გამწვანებისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის გამწვანების პროექტის შეთანხმება; ურბანული ეკოსისტემების იდენტიფიცირება, მწვანე ინფრასტრუქტურის რეგულარული ზრდის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია; სატრანსპორტო რეგულირების

პროცესში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით მონაწილეობის მიღება; მწვანე ლანდშაფტის დაცვის უზრუნველყოფა, ლანდშაფტის დიზაინის დამუშავება და არქიტექტურული პროექტების განხორციელება; კომპეტენციის ფარგლებში თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების პროცესში მონაწილეობის მიღება და სხვ.

მომხსენებლის, ბ-ნი გ. გიგაშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შეკითხვა დასვა ბ-ნმა ლევან ხაბეიშვილმა,** რომელიც დაინტერესდა არსებული საქალაქო სამსახურისა და დედაქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გასული ოთხი წლის განმავლობაში დედაქალაქის ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობისა და მიღებული შედეგის შეფასების საკითხით. მისი განმარტებით, საჭიროა დადგინდეს, მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის რა სამუშაოები განხორციელდა და თუ განხორციელდა და შედეგი მიღწეულია, რატომ გახდა საჭირო საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია და მისი ახალი ფუნქციებით აღჭურვა.

ბ-ნი ლევან ხაბეიშვილის მიერ დასმულ შეკითხვას უპასუხა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა. მომხსენებლის განმარტებით, მის კომპეტენციას სცილდება პოლიტიკური შეფასებების გაკეთება; რაც შეეხება ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის სახელის შეცვლასა და რეორგანიზაციას, საქალაქო სამსახურის დასახელება არ შეესაბამება იმ პრიორიტეტებსა და ამოცანებს, რომელიც სამსახურის ფუნქციებით არის განსაზღვრული. კერძოდ, ეკოლოგია არის მეცნიერება (მეცნიერების დარგი), ხოლო გარემოს დაცვა გულისხმობს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანისა და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობაში შენარჩუნებას და გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკების შემცირებას. აქედან გამომდინარე, გარემოს დაცვა დედაქალაქისთვის ყოველთვის იყო და იქნება პრიორიტეტული მიმართულება. ზუსტად ამ მიზნით იცვლება საქალაქო სამსახურის დასახელება და მისი უფრო ფართო ფუნქციებით აღჭურვა. წინა წლებში განხორციელებული ღონისძიებები და ჩატარებული სამუშაოები არ აღმოჩნდა საკმარისი დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, რის გამოც, დედაქალაქის მთავრობის ახალმა შემადგენლობამ მიზანშეწონილად მიიჩნია სამსახურის რეორგანიზაცია. ზოგადად, რეორგანიზაცია და რეფორმების გატარება გულისხმობს, თანამედროვე მიდგომებით შესაბამისი ღონისძიებების გატარებას უკეთესი შედეგის მისაღებად.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ დამატებით აღნიშნა, რომ გასული წლების განმავლობაში გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებისას სჯობს საუბარი წარიმართოს კონსტრუქციული მიმართულებით და საჭიროა სწორი აქცენტების დასმა, კერძოდ, უმჯობესია აღინიშნოს ზოგადად რა გაკეთდა გასული ოთხი წლის განმავლობაში და რის გაკეთებას აპირებს საქალაქო სამსახური მომავალში.

ბატონი ერეკლე კუხიანიძის მიერ გამოთქმულ აზრს დაეთანხმა, კომისიის წევრი ბ-ნი გ. ტყემალაძე.

შეკითხვა დასვა ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა, წარმოდგენილი დებულების პროექტის თანახმად, სამსახურის მიერ განსახორციელებელი ოთხწლიანი გეგმისა და ოთხი წლის შემდეგ მისაღწევი შედეგის თაობაზე.

ბ-ნი გ. გიგაშვილის პასუხის თანახმად, ოთხი წლის შემდეგ დედაქალაქს ექნება მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დღემდე არ არის შემუშავებული მუნიციპალურ დონეზე და დღემდე ამ მიმართულებით მხოლოდ ტექნიკური სამუშაოები ხორციელდება კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ. ასევე, საქალაქო სამსახური აქტიურად ჩაერთვება ქალაქგეგმარებით პროცესში. აქამდე სამსახური მონაწილეობას არ იღებდა თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავებისა და ასევე, სატრანსპორტო რეგულირების პროცესებში. გარდა ამისა, აუცილებელია, ევროპული სტანდარტით დადგენილი ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული სივრცის შეფარდების კოეფიციენტის მიღწევა და საერთაშორისო გარემოსდაცვით სამართლებრივ ნორმებთან ჰარმონიზაცია. მომხსენებლის (გ. გიგაშვილის) განმარტებით, ჰაერის დაბინძურების, ემისიების წყაროების, გეოლოგიის, ჰიდროლოგიის, ასევე, ზედაპირული წყლები უშუალოდ სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია, რის გამოც, საქალაქო სამსახური მხოლოდ მუნიციპალურ დონეზე, ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობას.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა:

- რაიონული გამგეობების მიერ ზეხმელი და ავარიული ხეების ჭრის განხორციელების შემთხვევაში, მწვანე ნარგავების ხარისხობრივ მდგომარეობაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი სამსახურის ან/და უფლებამოსილი პირის თაობაზე.

ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, იგეგმება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის საკრებულოსთვის განსახილველად წარდგენა, რომლის მიღების შემთხვევაშიც, მუნიციპალიტეტის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ ზეხმელი და ავარიული ხეების ჭრა განხორციელდება დამოუკიდებელი, უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ გაცემული მწვანე ნარგავების ხარისხობრივ მდგომარეობაზე დასკვნის საფუძველზე.

ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა:

- წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერში მითითებული მუნიციპალური ტყის ტერმინის, ამავე დადგენილების პროექტის მეორე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ჩანაწერში მითითებულ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ტერმინთან შესაბამისობის თაობაზე;

- დადგენილების პროექტის მეორე მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ (ზედაპირული წყლის ობიექტების მონიტორინგში მონაწილეობის მიღება) თაობაზე;

- მუნიციპალური ნარჩენების მართვისა და დამუშავების თაობაზე.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა, ბ-ნმა გ. გიგაშვილმა, რომლის განმარტებით:

- მუნიციპალური ტყისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ტერმინები არსობრივად ინდენტურია და გამოყენებულია მოქმედ საკანონმდებლო აქტებში.
- ზედაპირული წყლის ობიექტები ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაშია, რის გამოც, საქალაქო სამსახური მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელებს ამ ობიექტების მონიტორინგსა და მასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებს;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვისა და დამუშავების საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსით“, შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით, საქალაქოს სამსახური შესაბამის ღონისძიებებს განახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის **№12-0318012172-03 წერილით** წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 12 იანვრის **№12-0318012172-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის №12-03173149-03 წერილის მე-2 წინადადება)

საკითხის განხილვამდე, სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ კომისიის 2017 წლის 22 და 26 დეკემბრის სხდომებზე (ოქმი №5 და ოქმი №6) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე გადადებული იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (წერილი №12-03173149-03 10.11.2017წ.) განმარტებითი ბარათის მე-2 საკითხი (წინადადება) - ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ქუჩა თ. ერისთავის №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.070) (10396 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად კონტურის დაზუსტების (სამრეწველო ზონა 1-ისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ითა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების) შესახებ. (განმცხადებელი: მ. პაპუკაშვილი).

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) განმარტებით, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ქუჩა თ. ერისთავის №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.070) (10396 კვ.მ.) არსებული ფუნქციური ზონის - სამრეწველო ზონა 1-ისა და სარეკრეციო ზონა 2-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ითა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

მომხსენებელმა (ე. ცეცხლაძემ) დამატებითი ინფორმაციის სახით, სხდომაზე წარმოადგინა ელექტრონული დოკუმენტაცია და ინტერაქტიული რუკის მეშვეობით ნაჩვენები იქნა ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ტოპო-რუკები.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული №12-03173149-03** წერილით (10.11.2017წ.) წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის მე-2 საკითხის (**ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ქუჩა თ. ერისთავის №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.070) (10396 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად კონტურის დაზუსტების (სამრეწველო ზონა 1-ისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ითა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების) წინადადების)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 29 დეკემბრის №12-03173634-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი ფუნქციური ზონების ცვლილების სახით - განმარტებითი ბარათის თანახმად, წარმოდგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხი (4 წინადადება) განხილული და რეკომენდებულია „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს“ მიერ.

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 4 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- **განმარტებითი ბარათის პუნქტი 1 – ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ორთაჭალის III შესახვევი №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.01.003.103) (116 კვ.მ.) სპეციალურ ზონა 2-სა და საცხოვრებელ ზონა 2-ს შორის კონტურის დაზუსტების (სპეციალური ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 2-ით ცვლილების) შესახებ.**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, განმცხადებელი: გ. ქუმსიშვილი (განცხადებაAR1553130) ითხოვს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ორთაჭალის III შესახვევი №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.01.003.103) (116 კვ.მ.) სპეციალურ ზონა 2-სა და საცხოვრებელ ზონა 2-ს შორის კონტურის დაზუსტებას (სპეციალური ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 2-ით ცვლილებას), შემდგომში, საკადასტრო მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობისთვის.

წარმოდგენილი ფოტო-მასალის თანახმად, საკადასტრო მიწის ნაკვეთი მდებარეობს სასაფლაოს მომიჯნავედ.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ - არსებული ფუნქციური ზონის არა მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 2-ით, არამედ უფრო შესაბამისი შემზღუდავი ზონით ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე, რაც განმცხადებელს ღობის მშენებლობის საშუალებას მისცემს, მაგრამ მიწის ნაკვეთის სხვაგარად განვითარება არ მოხდება.

ბ-ნმა გ. ტყელამაძემ - განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) განმარტებით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2, თავად მიწის ნაკვეთის 50%-ზე მეტი განვითარებულია საცხოვრებელი ზონა 2-ის ფარგლებში, შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია და რეკომენდაცია გაუწია სპეციალური ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 2-ით ცვლილებას.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

- **განმარტებითი ბარათის პუნქტი 2 – ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ქუჩა №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.04.001.006) (186**

კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის კონტურის დაზუსტების (სარეკრეაციო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით) ცვლილების შესახებ.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის პუნქტი 3 – ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რუსთაველის ქუჩა №33-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.013) (1190 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 2-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 2-ს შორის კონტურის დაზუსტების (სარეკრეაციო ზონა 2-ის სატრანსპორტო ზონა 1-ითა და საცხოვრებელი ზონა 2-ით ცვლილების) შესახებ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) განმარტებით, წარმოდგენილი წინადადების სარეზოლუციო ნაწილი საჭიროებს ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორებას. კერძოდ, ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რუსთაველის ქუჩა №33-ში არსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.013) და მის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონა - სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება საცხოვრებელი ზონა 2-ითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით, რაც სრულყოფილად არ არის ასახული (გამოტოვებულია სიტყვა „მიმდებარედ") წინადადების სარეზოლუციო ნაწილში. შესაბამისად, საჭიროა სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რუსთაველის ქუჩა №33-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №81.08.28.013-სა და მის მიმდებარედ) (1190 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 2-ს შორის."

კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) ინფორმაცია.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) ცნობად იქნას მიღებული მომხსენებლის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლის (ე. ცეცხლაძის) ინფორმაცია განსახილველად წარმოდგენილი მე-3 საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული ტექნიკური შეცდომის თაობაზე.

2) შეცდომის გასწორების მიზნით, მე-3 საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რუსთაველის ქუჩა №33-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №81.08.28.013-სა და მის მიმდებარედ) (1190 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 2-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ითა და საცხოვრებელი ზონა 2-ით, („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა სბჭოს“ 09.11.2017 წლის ოქმი №45), განმცხადებელი: რ. ბართავა. AR1554580“

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

- **განმარტებითი ბარათის პუნქტი 4 – ქ. თბილისში, ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.10.011.021) (4432 კვ.მ.) საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-სა და სატრანსპორტო ზონა 2-ს შორის კონტურის დაზუსტების (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის სატრანსპორტო ზონა 2-ით ცვლილების) თაობაზე.**

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის მე-3 საკითხში (წინადადებაში) გასწორდეს ტექნიკური შეცდომა. საკითხი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რუსთაველის ქუჩა №33-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი:

№81.08.28.013-სა და მის მიმდებარედ) (1190 კვ.მ.) **დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 2-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ითა და საცხოვრებელი ზონა 2-ით, („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა სბჭოს“ 09.11.2017 წლის ოქმი №45), განმცხადებელი: რ. ბართავა. AR1554580“

2. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის **№12-03173634-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადების) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე (მიმდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2015 წლის 15 იანვრის №12-031801522-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე (მიმდინარე) საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წარმოდგენილი წინადადება ითვალისწინებს ქ. თბილისში, კრწანისისა და გარდაბნის რაიონში, გარდაბანი, სოფელ თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.03.12.739, 81.03.12.738, 81.03.12.737, 81.03.12.730) (2 263 527 კვ.მ.) კონტურის დაზუსტებას განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოითხოვა ბ-ნმა გ. ტყემალაძემ.

მომხსენებელმა (ე. ცეცხლაძემ) მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგინა, რომლის გაცნობის საფუძველზე დადგინდა, რომ ქ. თბილისში, კრწანისისა და გარდაბნის რაიონში, გარდაბანი, სოფელ თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.03.12.739, 81.03.12.738, 81.03.12.737, 81.03.12.730) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი შეთანხმდა 2011 წელს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №294 განკარგულებით დამტკიცდა ქ. თბილისში, კრწანისისა და გარდაბნის რაიონში, გარდაბანი, სოფელ თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.03.12.739, 81.03.12.738, 81.03.12.737, 81.03.12.730) განაშენიანების რეგულირების კორექტირებული პროექტი. პროექტის ინიციატორებმა გაითვალისწინეს რა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ჯგუფის წინადადებები და რეკომენდაციები, პროექტმა განიცადა სერიოზული ცვლილება.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 15 იანვრის **№12-031801522-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის (სულ: 1 წინადადება) საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე